თანამედროვე სოციალური პოლიტიკის პარადიგმების კრიტიკა ადამიანის უფლებების ჭრილში: ახალი ბიჰევიორიზმი, სოციალური ინვესტიცია და ახალი უნივერსალიზმი

ვოლკან ილმაზი[1]
მთარგმნელი: ნინო კარანაძე

სოციალური პოლიტიკა, როგორც დისციპლინა და პრაქტიკა, გამორჩეულია იმით, რომ ფოკუსირებულია სოციალური პრობლემების ძირეული მიზეზების გამოვლენასა და იმის მტკიცე რწმენაზე, რომ სოციალურ მოქმედებას და პოლიტიკას აქვს უნარი, შეცვალოს სამყარო უკეთესობისკენ. ეს მახასიათებლები სოციალურ პოლიტიკას აქცევენ არსებითად ღირებულ ინტელექტუალურ საქმიანობად, რითაც ღიას ტოვებენ მას ნორმატიული რღვევებისთვის და ქმნიან საფუძველს სოციალური პოლიტიკის სხვადასხვა პარადიგმების გაჩენისთვის. სოციალური პოლიტიკის პარადიგმებსა და სოციალურ პრობლემებს შორის ურთიერთობის სირთულე, ნაწილობრივ, მისი დიალოგური ხასიათიდან გამომდინარეობს. სოციალური პოლიტიკის სხვადასხვა პარადიგმა წინ წამოწევს სოციალური პრობლემების მკაფიო ფორმულირებებს, რაც განაპირობებს სოციალური პოლიტიკის სხვადასხვა რეაგირებითი მექანიზმის ჩამოყალიბებას. საბოლოო ჯამში, ისინი ერთობლიობაში მეტ-ნაკლებად თანმიმდევრულ აზრებსა და მიდგომებს აყალიბებენ, რომლებიც შეეხება სხვადასხვა სოციალურ პრობლემასა და მათ გადაწყვეტას, ისევე როგორც, სოციალური პოლიტიკის აღსრულებას.

ეს თანმიმდევრული ჩარჩოები წარმოადგენენ პოლიტიკის პარადიგმებს. ჰოლი მათ განსაზღვრავს „იდეებისა და სტანდარტების ჩარჩოებად, რომლებიც განსაზღვრავენ არა მხოლოდ პოლიტიკის მიზნებსა და მათ მისაღწევად გამოყენებული ინსტრუმენტების ტიპებს, არამედ იმ პრობლემების ბუნებასაც, რომელთა გადაჭრისკენაც ისინი მიემართებიან“.[2] სოციალური პოლიტიკის ღირებულებითი ხასიათის მიუხედავად, კავშირი სოციალური პოლიტიკის პარადიგმებსა და პრობლემის ფორმულირებას შორის რთული და ძნელად გადმოსაცემია. განსაკუთრებით რთული კი მაშინაა, როცა ეს პარადიგმები აყვანილია მეცნიერული ან პოლიტიკური სფეროების სიზუსტეებში.

ბოლო წლებში, ახალი ბიჰევიორიზმის, სოციალური ინვესტიციებისა და ახალი უნივერსალიზმის პარადიგმები ფართოდ გავრცელებულია სამეცნიერო და პოლიტიკურ საზოგადოებებში. ახალი ბიჰევიორიზმი, როგორც ერთ-ერთი დომინანტური პარადიგმა სოციალურ პოლიტიკაში, მას შემდეგ დამკვიდრდა, რაც ტალერმა 2017 წელს ნობელის პრემია მიიღო ეკონომიკაში, ხოლო აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა აითვისეს ეს პარადიგმა. სოციალური ინვესტიცია, რომელიც ძირითადად ჰემერიკთან ასოცირდება, კიდევ ერთ დომინანტურ პარადიგმად იქცა, როცა ევროკავშირმა (EU) 2000 წელს მიიღო ლისაბონის სტრატეგია - პოლიტიკა, რომელიც, 2013 წელს, სოციალური ინვესტიციების პაკეტის მიღებით გაძლიერდა. ახალი უნივერსალიზმი, დომინანტური პარადიგმის სტატუსით, 2000 წელს მიღებული გაეროს ათასწლეულის დეკლარაციით დაწინაურდა. დეკლარაციაში განისაზღვრა ათასწლეულის განვითარების მიზნები (MDGs), 2015 წელს კი, მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) დამტკიცდა.

---

[1] ავტორი, ლიტერატურის კვლევაში ფასდაუდებელი დახმარებისთვის, მადლობას უხდის ბოღაზიჩის უნივერსიტეტის სოციალური პოლიტიკის ფორუმის კვლევის ცენტრის მკვლევარს, ჯემრე კანბაზერს.

[2] Peter A Hall, ‘Policy Paradigms, Social Learning, and the State: The Case of Economic Policymaking in Britain’ (1993) 25 Comp. Pol. 275, 296.

წინამდებარე სტატია გვთავაზობს თანამედროვე სოციალური პოლიტიკის ლიტერატურაში არსებული პარადიგმების - ახალი ბიჰევიორიზმი, სოციალური ინვესტიცია და ახალი უნივერსალიზმი - კრიტიკულ ანალიზს. სოციალური პოლიტიკის ამ პარადიგმების შესახებ არსებული ბოლოდროინდელი ლიტერატურის ყოვლისმომცველ მიმოხილვაზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებები გამოყენებულია პერსპექტივად, იმის გამოსაკვლევად და განსახილველად, თუ როგორ უდგებიან და ეხმაურებიან შერჩეული პარადიგმები სიღარიბესა და სახელმწიფოს ვალდებულებას მისი შემსუბუქების მიმართულებით.

ამ პარადიგმების მეცნიერული და პოლიტიკური მნიშვნელობისა და მათი პოტენციური გავლენის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან სოციალური პრობლემების აღქმის გზების უხილავი წერტილების შესწავლა გადამწყვეტ ინტელექტუალურ ძალისხმევად გვესახება. ინტელექტუალურ ძალისხმევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან სოციალური პოლიტიკის პარადიგმები კონკრეტულ შედეგებს იძლევა არა მხოლოდ პოლიტიკის ქმედებების ინფორმაციული უზრუნველყოფით, არამედ საზოგადოებრივი და ინტელექტუალური აღქმის ფორმირებითაც.[3] ეს სტატია გვთავაზობს კრიტიკულ წარმოდგენას ამ პარადიგმების მიერ თანამედროვე სამყაროს გაგებისა და სიღარიბის შემსუბუქების თეორიების შესახებ.

წინამდებარე სტატიის სტრუქტურა შემდეგნაირია: თავდაპირველად, განიხილება გზები, რომელთა საშუალებითაც სოციალური პოლიტიკის პარადიგმების შესასწავლად ადამიანის უფლებების პერსპექტივა შეიძლება გამოიყენებოდეს, როგორც ობიექტივი; შემდეგ, განიხილება სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც მოქმედებენ აღნიშნული პარადიგმები; მომდევნო სამ თავში განხილულია თითოეული პარადიგმის კრიტიკული ანალიზი; დასკვნაში მიმოხილულია ადამიანის უფლებების გავლენებსა და შერჩეული პარადიგმების სიღარიბეზე რეაგირებას შორის განსხვავებები და მათ შორის არსებული ზოგიერთი მსგავსება; ბოლო ნაწილში კი მოცემულია დღის წესრიგი მომავალი კვლევისთვის.

I. უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დაკავშირება სოციალურ პოლიტიკასთან და სოციალური უზრუნველყოფის მიდგომის კავშირი ადამიანის უფლებებთან

„უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა“ ფართოდ გამოყენებული ტერმინია სოციალური პოლიტიკის ლიტერატურაში. მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა პერსპექტივის სისტემატური გამოყენება სოციალურ პოლიტიკებსა და მათი პარადიგმების ანალიზში ჯერ კიდევ იშვიათია.[4] სოციალური პოლიტიკის სწავლებაში უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ცენტრალური პოზიციის მიუხედავად, მისი ძირითადი ელემენტები იშვიათად არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული. მიჩნეულია, რომ უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დეფინიციაზე არსებობს ინტელექტუალური კონსენსუსი, თუმცა იგი მიღწეულად ვერ ჩაითვლება. კონსენსუსთან მიმართებით ორი ელემენტი შეიძლება გამოიყოს: პირველ რიგში, უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ხშირად ეწინააღმდეგება საჭიროებებზე დაფუძნებულ მიდგომას.[5] ამ დუალობის აგებით, სოციალური პოლიტიკის მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის მნიშვნელობაზე

[3] Daniel Béland and Robert Henry Cox, 'Introduction: Ideas and Politics' in Daniel Béland and Robert Henry Cox (eds), Ideas and Politics in Social Science Research (OUP 2010).
[4] Shirley Gatenio Gabel, A Rights-Based Approach to Social Policy Analysis (Springer 2016) 6.
[5] იქვე, 4–6.

სოციალური პოლიტიკის ჭრილში, ადამიანის უფლებების პროგრესული რეალიზაციისთვის.[6] მეორე მხრივ, მკვლევრები ამტკიცებენ, რომ უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა სოციალური პოლიტიკის მიმართ უნდა იყოს ტრანსფორმაციული და არა აფირმაციული.[7] ფრეიზერი ტრანსფორმაციულ ქმედებებს განმარტავს ნაბიჯებად, რომლებიც „მიმართულია არათანაბარი შედეგების გამოსწორებისკენ, სწორედ, საბაზო წარმომშობი ჩარჩოს გარდაქმნის გზით“.[8] გაეროს სოციალური განვითარების კვლევითი ინსტიტუტი, სოციალურ დაცვაზე მითითებით, მიიჩნევს, რომ უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა სოციალურ პოლიტიკაში „ხელს უწყობს სოლიდარობას, სოციალურ ერთიანობას და კოალიციის შექმნას კლასებს, ჯგუფებსა და თაობებს შორის“ ყოვლისმომცველი სოციალური დაცვის სისტემის შექმნით და არა მხოლოდ სოციალური დახმარების მიზნობრივ სქემებზე დაყრდნობით.[9]

ადამიანის უფლებებისა და სოციალური პოლიტიკის ლიტერატურას შორის კავშირის წყვეტა აშკარაა, თუმცა ეს სტატია ამტკიცებს, რომ ადამიანის უფლებათა პერსპექტივის სამი მახასიათებელი მას შესაფერის ინსტრუმენტად აქცევს სოციალური პოლიტიკის პარადიგმების კრიტიკული შესწავლისთვის. პირველი, როგორც ტელი ლაკონიურად აღნიშნავს, სოციალურ პოლიტიკასა და ადამიანის უფლებებს აქვთ საერთო ფოკუსი სახელმწიფოს ვალდებულებაზე, გადაჭრას სოციალური პრობლემები და შეისწავლოს ურთიერთკავშირი უფლებების მფლობელებსა და მოვალეობის მატარებლებს შორის.[10] მეორე, დონელის მოწოდება „სოციალური განაწილებისა და უზრუნველყოფის სისტემების ჭრილში“ ადამიანის უფლებების ალტერნატიული გამოყენების შესახებ[11] სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების უფრო ყოვლისმომცველი ინტერპრეტაციის გზით გვთავაზობს საწყის წერტილს სოციალური პოლიტიკის პარადიგმების ანალიზში.[12] ადამიანის უფლებებთან მიმართებით არსებული ეს კონკრეტული პოზიცია განსხვავდება ადამიანის უფლებების მკვლევართა თავშეკავებისაგან, მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკის გადაწყვეტების შესახებ დისკუსიებში. ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება გასაგებია საერთაშორისო სამართლის პერსპექტივიდან გამომდინარე, რადგან სოციალური პოლიტიკა სახელმწიფოს მიხედულების ფარგლებში ექცევა. თუმცა, ეს პოზიცია ადამიანის უფლებათა მკვლევრებს ხშირად უბიძგებს, გაჰყვნენ ლეგალისტურ ხაზს, მხარი დაუჭირონ დარღვევებზე ორიენტირებულ მიდგომას, დიდწილად უგულებელყონ პოლიტიკის საკითხები და ყურადღება გაამახვილონ მინიმალურ ძირითად ვალდებულებებზე.[13] მესამე, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების პრინციპების უმეტესობა, როგორიცაა განუყოფლობა, ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთკავშირი, ხშირად ვერ უძლებს ემპირიული ანალიზის გამოცდას,[14] ისინი მკვლევრებს ამარაგებენ სასარგებლო

---

[6] იხ. საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (მიღებულ იქნა - 1966 წლის 16 დეკემბერს, ძალაში შევიდა 1976 წლის 3 იანვარს), 999 UNTS 3 (ICESCR), მ. 11.

[7] მაგ., Tim Stainton, 'Empowerment and the Architecture of Rights Based Social Policy' (2005) 9 Journal of Intellectual Disabilities 289, 291–2.

[8] Nancy Fraser, 'From Redistribution to Recognition? Dilemmas of Justice in a "Post-Socialist" Age' (1995) 212 New Left Review 68, 82.

[9] United Nations Research Institute for Social Development (UNRISD), Combating Poverty and Inequality: Structural Change, Social Policy and Politics (UNRISD 2010) 17, 157. მსგავსი საკითხი განხილული იყო - Walter Korpi and Joakim Palme, 'The Paradox of Redistribution and Strategies of Equality: Welfare State Institutions, Inequality, and Poverty in the Western Countries' (1998) 63 American Sociological Review 5, 661–87.

[10] Hatla Thelle, Better to Rely on Ourselves: Changing Social Rights in Urban China since 1979 (Nordic Institute of Asian Studies Press 2004) 7.

[11] Jack Donnelly, 'Human Rights and Social Provision' (2008) 7 Journal of Human Rights 123.

[12] იქვე.

[13] იქვე, 129.

[14] Ida Elisabeth Koch, Human Rights as Indivisible Rights: The Protection of Socio-Economic Demands under the European Convention on Human Rights (Martinus Nijhoff Publishers 2009).

კონცეპტუალური ინსტრუმენტებით იმის შესასწავლად, თუ როგორ წარმართავს პოლიტიკის პარადიგმები, შეგნებულად თუ სხვაგვარად, კომპრომისებს განსხვავებული ტიპის ადამიანის უფლებებს შორის. ამ მხრივ, ადამიანის უფლებათა პერსპექტივა შესაფერისია სოციალური პოლიტიკის პარადიგმების გასაანალიზებლად, რადგან მას, თავის სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით, საკმარისად ფართო ჩარჩოს შეთავაზება შეუძლია.[15]

ეს სტატია გვიჩვენებს, რომ სოციალური პოლიტიკის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ძირითადი ელემენტები და დონელისეული ადამიანის უფლებების კონცეფცია, საკმარისად თავსებადია სოციალური პოლიტიკის პარადიგმების ძლიერი და სუსტი მხარეების გასაანალიზებლად თანმიმდევრული რეფერენტული ჩარჩოს შეთავაზებასთან. მაშინ, როცა ეკონომიკური და სოციალური უფლებების ჩარჩო მისაღებია, გამოიყენებოდეს სიღარიბის შემსუბუქების სფეროში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებებისთვის საერთაშორისო სამართლებრივი ბაზისის ჩამოყალიბების პროცესში, ამ სტატიაში წარმოდგენილი ჩარჩო მიზნად ისახავს, გასცდეს სამოქალაქო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ-სოციალურ უფლებებს შორის არსებულ შემაშფოთებელ განსხვავებას.

ადამიანის უფლებათა სამი პრინციპი - უნივერსალურობა, განუყოფლობა და დისკრიმინაციის აკრძალვა - შესაძლებელია, ამ ჩარჩოს საფუძველი იყოს. უნივერსალურობის პრინციპი გულისხმობს ადამიანის უფლებების კატეგორიულ და თანასწორუფლებიან ბუნებას, რადგან ის ეხება თითოეულ ინდივიდს.[16] განუყოფლობა გაგებულია, როგორც პრინციპი, რომელიც მიუთითებს სამოქალაქო-პოლიტიკური და ეკონომიკურ-სოციალური უფლებების თანასწორად განხილვის მნიშვნელობაზე, მიუხედავად იმ არგუმენტებისა, რომ ეს უკანასკნელი „ადამიანის ტრადიციული უფლებებისგან განსხვავებულ ლოგიკურ კატეგორიას“ განეკუთვნება.[17] მესამე, დისკრიმინაციის აკრძალვა კანონის უზენაესობის ფუნდამენტური პრინციპია და შეიცავს თანაბარი მოპყრობის ვალდებულებას. მიუხედავად იმისა, რომ მკვლევართა უმეტესობა ყურადღებას ამახვილებს ჰორიზონტალურ უთანასწორობაზე (დისკრიმინაციის რისკის ქვეშ მყოფ სხვადასხვა ჯგუფებს შორის უთანასწორობა) დისკრიმინაციის აკრძალვასთან მიმართებით,[18] წინამდებარე სტატია იყენებს არატრადიციულ, თუმცა ახლად წამოჭრილ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ვერტიკალური უთანასწორობის შემთხვევებს (უთანასწორობა სიმდიდრესთან, შემოსავალსა თუ სოციალურ შედეგთან მიმართებით).[19]

II. თანამედროვე სოციალური პოლიტიკის პარადიგმების კონტექსტუალური გააზრება

სოციალური პოლიტიკის პარადიგმები ისტორიული პროდუქტია. მათზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს უფრო ფართო სოციალური და ეკონომიკური კონტექსტი, რომელშიც ისინი ჩნდებიან და გამოიყენებიან. სოციალური პოლიტიკის პარადიგმები, ამავე დროს, პოლიტიკური პროდუქტებიცაა. ამ პარადიგმების ისტორიულობა არ ნიშნავს იმას, რომ ისინი მხოლოდ იმ სოციალური და

[15] Markus Kaltenborn, ‘The Human Rights-Based Approach to Social Protection’ in Katja Bender, Markus Kaltenborn and Christian Pfleiderer (eds), *Social Protection in Developing Countries: Reforming Systems* (Routledge 2013).
[16] Peter Kirchschläger, ‘Universality of Human Rights’ in The European Wergeland Centre (eds), The EWC Statement Series: First Issue (The European Wergeland Centre 2011) 22.
[17] Maurice Cranston, *What are Human Rights?* (Basic Books 1962) 54.
[18] Gaby Oré Aguilar and Ignacio Saiz, ‘Introducing the Debate on Economic Inequality: Can Human Rights Make a Difference?’ (*Open Democracy*, 27 October 2015).
[19] David Barrett, ‘Tackling Economic Inequality with the Right to Non-Discrimination’ (Open Democracy, 25 October 2016); ‘Report of the Special Rapporteur on Extreme Poverty and Human Rights’ (4 August 2015) UN Doc A/70/274.

ეკონომიკური გარემოს ანარეკლია, რომელსაც მიეკუთვნებიან. ამ პარადიგმების პოლიტიკურ ბუნებას მოწმობს მათი კონტექსტისა და სასურველი მოქმედებების გააზრების მრავალფეროვანი გზები.

ტიტმუსმა სოციალური პოლიტიკის პირველადი პარადიგმები წარმოადგინა მათ სოციალურ და ეკონომიკურ კონტექსტში. მისი სოციალური პოლიტიკის პარადიგმების სამმხრივი ტიპოლოგია, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კონტექსტში, მოიცავს ნარჩენი კეთილდღეობის მოდელს, სამრეწველო მიღწევა-შესრულების მოდელს და ინსტიტუციური გადანაწილების მოდელს. ამ პარადიგმებს შორის სხვაობა გამოიხატება იმაში, აღიქვამენ თუ არა სიღარიბეს სოციალურ დაავადებად, რომელიც უნდა მოგვარდეს, ასევე, თუ როგორ უდგებიან და უმკლავდებიან, პირდაპირ თუ ირიბად, სიღარიბის საკითხს. ნარჩენი კეთილდღეობის მოდელში, სოციალური პოლიტიკა ეხება დროებითი დახმარების ზომებს, რომლებიც ანაზღაურებენ ოჯახურ და ბაზრის წარუმატებლობას.[20] ეს მოდელი ვარაუდობს, რომ სიღარიბე ყოველთვის უმცირესობა და დროებითი სოციალური მდგომარეობაა, რომელიც სხვა მხრივ კარგად მოქმედი ბაზრებისა და ოჯახების გამო წარმოიქმნება. სამრეწველო მიღწევა-შესრულების მოდელი სოციალურ პოლიტიკას იყენებს დამსახურების, სამუშაოს შესრულებისა და პროდუქტიულობის მოსაპოვებლად და, შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისთვის.[21] ეს მოდელი ცალსახად არ ისახავს მიზნად სიღარიბის შემსუბუქებას, რადგან მისი მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას სოციალური პოლიტიკის, მათ შორის, განათლების, საშუალებით, რაც აღმოფხვრის სიღარიბეს სოციალურ დონეზე. ინსტიტუციური გადანაწილების მოდელი სოციალურ პოლიტიკას სოციალური ორგანიზაციის განუყოფელ, მაგრამ განყენებულ ნაწილად განიხილავს, რომელიც ემსახურება მოქალაქეთა საერთო საჭიროებებს სახელმწიფო დაფინანსებითა და არასაბაზრო მიდგომებით.[22] წინა ორი მოდელისგან განსხვავებით, ინსტიტუციური გადანაწილების მოდელი დაფუძნებულია იმ წარმოდგენაზე, რომ საზოგადოების ყველა ან უმეტესი წევრი „სიღარიბის საფრთხის ქვეშ“ არის, და ეს საფრთხე შესაძლოა, რეალობად იქცეს, თუ ბაზარი არ გაკონტროლდება.

მას შემდეგ, რაც ტიტმუსმა თავისი ტიპოლოგია შეიმუშავა, გლობალურ სოციალურ და ეკონომიკურ კონტექსტში ბევრი რამ შეიცვალა. იმის შეფასება, თუ რა შეიცვალა რეალურად 1980-იანი წლებიდან, დამოკიდებულია იმაზე, სიღარიბის დეფინიციის სხვადასხვა ვარიანტიდან, დაწყებული მონეტარული სიღარიბიდან, დამთავრებული შესაძლებლობების სიღარიბემდე, რომელს გამოიყენებს ადამიანი.[23] შემოსავლების მიხედვით აბსოლუტური სიღარიბის შემცირებას, 1980-იანი წლების შემდგომ პერიოდში, არ ახლდა სოციალური იზოლაციის დაძლევის პროგრესი[24] და შესაძლებლობების სიღარიბის შემცირება.[25] 1980-იანი და 2010-იანი წლების შუა პერიოდში, ქვეყნებს შორის შემოსავლების უთანასწორობა, მართალია, შემცირდა, ძირითადად, ჩინეთსა და ინდოეთში ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებლების გამო, მაგრამ გაიზარდა ქვეყნებს

[20] Richard M Titmuss, ‘What is Social Policy?’ in Brian Abel-Smith and Kay Titmuss (eds), *Social Policy: An Introduction* (Pantheon Books 1974) 30.
[21] იქვე, 31.
[22] იქვე, 31, 32.
[23] Caterina Ruggeri Laderchi, Ruhi Saith and Frances Stewart, ‘Does it Matter that We do not Agree on the Definition of Poverty? A Comparison of Four Approaches’ (2003) 31 Oxford Development Studies 243.
[24] United Nations Department of Economic and Social Affairs, Leaving No One Behind: The Imperative of Inclusive Development (2016) UN Doc ST/ESA/362.
[25] United Nations Development Programme (UNDP), Human Development Report 2019: Beyond Income, Beyond Averages, Beyond Today: Inequalities in Human Development in the 21st Century (UNDP 2019).

შიგნით.[26] ანალოგიური უარყოფითი ტენდენცია შეინიშნება 2000-იანი წლებიდან სიმდიდრის გადანაწილებაში უთანასწორობასთან მიმართებითაც.[27] მაშინ, როცა 1990-იანი წლების შუა პერიოდის შემდეგ[28] მსოფლიოში დასაქმებული მოსახლეობის წილი შემცირდა, დასაქმებულთა მთლიანი შემოსავლის გლობალური წილი (შრომითი შემოსავლის წილი) ასევე შემცირდა 2004-2017 წლებში.[29] ამ შემაშფოთებელი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ფონზე, სოციალური დაცვის სქემები კვლავ მოიცავს მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე ნაკლებს[30] და, მაგალითად, მსოფლიოს მოსახლეობის წილი, რომელიც ოჯახის ბიუჯეტის მეოთხედზე მეტს ჯანდაცვაზე ხარჯავს, 2000-2015 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა.[31]

ამ კონტექსტში, გაჩნდა სოციალური პოლიტიკის პარადიგმების ახალი ნაკრები, მათ შორის, ახალი ბიჰევიორიზმი, სოციალური ინვესტიცია და ახალი უნივერსალიზმი. ამ პარადიგმებმა, განსაკუთრებით 1990-იანი წლებიდან, შეცვალეს და, ზოგჯერ, ჩაანაცვლეს ტიტმუსის კლასიკური პარადიგმები. მოცემული სტატია, შესაძლოა, დეტალურად არ უღრმავდებოდეს თითოეული პარადიგმის ნიუანსებს, რადგან ის მათ, ზოგადი ანალიზის ხელშესაწყობად, როგორც მეტ-ნაკლებად თანმიმდევრულს, ისე განიხილავს; თუმცა თითოეული პარადიგმის შესახებ ლიტერატურა დინამიკურია და მიმდინარე ღირებულ დებატებს მოიცავს.

III. ახალი ბიჰევიორიზმი

ბიჰევიორიზმი, ადრეული ინდუსტრიული ეპოქიდან მოყოლებული, დიდი ხანია, განიხილება სოციალური პოლიტიკის ჩარჩოების ნაწილად.[32] ამ პარადიგმის განახლებულმა ვერსიამ პოპულარობა ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში მოიპოვა. სოციალური პოლიტიკის ეს პარადიგმა, 1990-იან წლებში, კეთილდღეობის პროგრამებისა და „აქტიური“ სოციალური პროგრამების („პასიური“ სოციალური პროგრამებისგან განსხვავებით) დანერგვის დროს, ხელახლა გამოჩნდა.[33] პარადიგმის ფარგლებში, 2000-იან წლებში, გაიზარდა აქცენტი პირობიან ფულად დახმარებებზე.[34] კოგნიტური ფსიქოლოგიის და მიკროეკონომიკის კავშირმა, მოგვიანებით, უფრო მყარი ინტელექტუალური საფუძველი შესძინა ამ პარადიგმას,[35] რომელმაც 2010-იან წლებში პოლიტიკის ღონისძიებების ახალი ნაკრების ინფორმაციული უზრუნველყოფა დაიწყო,

[26] Facundo Alvaredo and others, 'World Inequality Report 2018' (World Inequality Lab, 2017) 11.
[27] Anthony Shorrocks, Jim Davies and Rodrigo Lluberas, 'Global Wealth Report 2019' (*Credit Suisse Research Institute*, October 2019) 2.
[28] International Labour Organization (ILO), World Employment and Social Outlook Trends 2020 (ILO 2020) 24.
[29] Data Production and Analysis Unit, ILO Department of Statistics, 'The Global Labour Income Share and Distribution' (ILO July 2019).
[30] ILO, *World Social Protection Report 2017–2019: Universal Social Protection to Achieve the Sustainable Development Goals* (International Labour Office 2017) xxix.
[31] World Health Organization (WHO) and The World Bank, *Global Monitoring Report on Financial Protection in Health 2019* (WHO and the International Bank for Reconstruction and Development/The World Bank 2020) 14.
[32] Felix Driver, Power and Pauperism: The Workhouse System, 1834–1884 (CUP 2004).
[33] მაგალითად, World Bank, *World Development Report 1990: Poverty* (OUP 1990); Judith M Gueron and Edward Pauly, From Welfare to Work (Russell Sage Foundation 1991); Eithne McLaughlin, 'Towards Active Labour Market Policies: An Overview' in Eithne McLaughlin (ed), Understanding Unemployment: New Perspectives On Active Labour Market Policies (Routledge 1992); Lars Caimfors, 'Active Labour Market Policy and Unemployment: A Framework for the Analysis of Crucial Design Features' (1994) 22 OECD Economic Studies 7(41).
[34] მაგალითად, Ariel Fiszbein and others, Conditional Cash Transfers: Reducing Present and Future Poverty (World Bank 2009).
[35] მაგალითად, Richard H Thaler and Cass R Sunstein, *Nudge: Improving Decisions about Health, Wealth, and Happiness* (Yale University Press 2008); Sendhil Mullainathan and Eldar Shafir, *Scarcity: Why Having Too Little Means So Much* (Times Books 2013); Adam Oliver, *The Origins of Behavioural Public Policy* (CUP 2017); Peter John, *How Far to Nudge? Assessing Behavioural Public Policy* (Edward Elgar Publications 2018).

ძირითადად, კერძო პირებისთვის ხელმისაწვდომი საბაზრო არჩევანის სახელმწიფო რეგულირების სახით.[36]

ახალი ბიჰევიორიზმი მიუთითებს ინდივიდების შეცდომებისადმი მიდრეკილებაზე, რაც აფერხებს მათ შესაძლებლობას, მიიღონ კარგი გადაწყვეტილებები,[37] რომლებიც დააძლევინებდნენ მათ სიღარიბეს. ინდივიდების მიდრეკილება შეცდომების დაშვებისკენ სათავეს იღებს როგორც მათი კოგნიტური ლიმიტაციებიდან, ისე მათგან უშუალოდ გამომდინარე კონტექსტიდან, რომლებიც აძლიერებენ ამ შეზღუდვებს. ეს კონტექსტი ასევე მოიცავს სოციალურ პროგრამებს, რომლებიც ვერ აღვიძებენ ინდივიდებში იმ თვისებებს, რაც მათ მდგომარეობის გაუმჯობესებაში დაეხმარებოდათ.

ახალი ბიჰევიორიზმი სიღარიბეს ასახავს, როგორც ცვალებად კოგნიტურ მდგომარეობას.[38] მაგალითად, ახალი ბიჰევიორიზმის მკვლევრები სიღარიბეს განმარტავენ „გონების წყობად“,[39] „შემეცნებით ტვირთად“[40] ან „ეპიგენეტიკურ მემკვიდრეობად“.[41] შაფირის ციტატა გვთავაზობს კარგ მაგალითს, თუ როგორ აყალიბებს ეს პარადიგმა სიღარიბის პრობლემას და მისი გადაჭრის გზას:

> *მდიდრებს აქვთ "დიდი ჩემოდანი", რომელიც მათ საშუალებას აძლევს, მოკრძალებული ნივთები დაუდევრად ჩაალაგონ. ღარიბებს აქვთ "პატარა ჩემოდანი", რომელიც გულმოდგინედ და დიდი სიფრთხილით უნდა ჩალაგდეს. პატარა ჩემოდნის პატრონმა გულდასმით უნდა განიხილოს თითოეული ახალი ნივთის ზომა და დაფიქრდეს იმაზე, თუ რა შეიძლება ამოიღოს ყოველ ჯერზე, როცა რაიმეს ჩადება სურს.*[42]

სიღარიბის საპასუხოდ, ახალი ბიჰევიორიზმი განსაზღვრავს სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის სხვადასხვა ფორმას, დაწყებული ბაზრის რეგულირებიდან, დამთავრებული ღარიბი ფენისთვის მიზნობრივი და პირობებზე დაფუძნებული სოციალური პროგრამების მიწოდებით. ამ პარადიგმის მიხედვით, არსებულ კონკურენტულ საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოები არიან ინდივიდების არჩევანის არქიტექტორები. მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურაში არსებობს კონსენსუსი სახელმწიფოების ეფექტიანი როლის შესახებ,[43] მკვლევრები ვერ თანხმდებიან სახელმწიფოს ჩარევის დონეზე, ინტენსივობასა და კონკრეტულ ფორმებზე.[44] ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღების გაუმჯობესების მთავარ მიზნად დასახვით, ამ პარადიგმის ერთი ფენა მნიშვნელოვნად შორდება ბიჰევიორიზმის ადრინდელი ვერსიების კლასიკურ პატერნალიზმს, რომელიც ზედმეტად დიდ ძალაუფლებას ანიჭებს სახელმწიფოს. თუმცა, კეთილდღეობის ზოგიერთ პროგრამაში, ბენეფიციარებს მაინც ემუქრებათ შეღავათების შემცირება, თუკი არ განაგრძობენ პროგრამით

---

[36] მაგალითად, World Bank Group, World Development Report 2015: Mind, Society, and Behavior (International Bank for Reconstruction and Development/The World Bank 2015); OECD, Behavioural Insights and Public Policy: Lessons from Around the World (OECD Publishing 2017).

[37] Thaler and Sunstein (n 35); Mullainathan and Shafir (n 35); World Bank, World Development Report 2015 (n 36); John (n 35).

[38] Mullainathan and Shafir (n 35); Eldar Shafir, 'Poverty and Civil Rights: A Behavioral Economics Perspective' [2014] U. Ill. L. Rev. 205; World Bank, World Development Report 2015 (n 36).

[39] Mullainathan and Shafir (n 35); World Bank, World Development Report 2015 (n 36).

[40] World Bank, World Development Report 2015 (n 36); John (n 35).

[41] John (n 35).

[42] Shafir, 'Poverty and Civil Rights' (n 38).

[43] მაგალითად, Thaler and Sunstein (n 35); Oliver (n 35); John (n 35).

[44] მაგალითად, ადამ ოლივერი, თავის ნაშრომში - ქცევის საჯარო პოლიტიკის საწყისები (n 35) - ამტკიცებს, რომ ქცევითი ეკონომიკის როლი მხოლოდ ზიანის წინააღმდეგ ინფორმირებაშია; რიჩარდ თალერი და კას სანშტეინი გვთავაზობენ მიდგომის უფრო ფართო გამოყენებას (Nudge: Improve Decisions on Health, Wealth and Happiness (n 35).

გათვალისწინებული პირობების შესრულებას.[45] „ლიბერტარიანული პატერნალიზმისგან“ განსხვავებით, ამგვარი პროგრამები ეყრდნობა ინდივიდუალური არჩევნის რეგულირების არადამსჯელობით ფორმებს, რომლებიც პატივს სცემენ ინდივიდების ავტონომიას თავიანთი გადაწყვეტილებების მიღებისას.[46]

ახალმა ბიჰევიორიზმმა, თავისი ორი მახასიათებლიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ვერ შემოგვთავაზოს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სიღარიბის გადაწყვეტის გზები. პირველ რიგში, პარადიგმა არ ეხება თანამედროვე პირობებში მატერიალური რესურსების, მათ შორის, სიმდიდრისა და შემოსავლის, არათანაბარ გადანაწილებას და შრომის ბაზრის გაუარესებულ პირობებს. ინდივიდუალურად გადაწყვეტილების მიღებაზე ექსკლუზიური აქცენტი, სიღარიბესა და სიღარიბისგან თავის დაღწევას, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდების ენდოგენურ საქმედ აქცევს.[47] ყველა გადაწყვეტილების ბაზრის არჩევნად წარმოდგენა კიდევ უფრო ზღუდავს მის თავსებადობას ადამიანის უფლებების მიდგომასთან. იმის გათვალისწინებით, რომ ბაზარზე არჩევნის გაკეთების შესაძლებლობა დიდწილად არის დამოკიდებული ინდივიდების შემოსავლებზე, მკვეთრი უთანასწორობის კონტექსტში და პარადიგმის მიერ არსებული უთანასწორობის დონის უგულებელყოფის პირობებში, არჩევანის გაკეთების კერძო შემეცნებით აქტივობად წარმოჩენა, აშკარად პრობლემური ხდება. ახალი ბიჰევიორიზმის მიერ ინდივიდებისთვის ხელმისაწვდომ შესაძლებლობებზე შემოსავლის უთანასწორობის გავლენის უგულებელყოფა სახელმწიფოებმა შეიძლება გამოიყენონ თავიანთი პოზიტიური ვალდებულებების, მაგალითად, მოქალაქეებისთვის ცხოვრების ადეკვატური დონის უზრუნველყოფის, შეუსრულებლობის მიზეზად. ბიჰევიორიზმის მკვეთრი აქცენტი სოციალურად მოწყვლადი საზოგადოების ქცევაზე აშკარად ზღუდავს მის ტრანსფორმაციულ შესაძლებლობებს.[48] ასევე, მიუხედავად იმისა, რომ პირობებზე დაფუძნებული სოციალური პროგრამების (როგორიცაა ვაქცინაციითა ან ბავშვების სკოლაში სიარულით პირობადადებული ფულადი დახმარებები) უმრავლესობის წარმატება დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ, ჯანდაცვისა და განათლების სფეროში,[49] პოზიტიური ვალდებულებების შესრულებაზე, ეს პარადიგმა ვერ აცნობიერებს ამ ზომების მნიშვნელობას, მისი შემოთავაზებული პოლიტიკის ქმედებების აღსასრულებლად.

მეორე მხრივ, ახალი ბიჰევიორიზმი არ ითვალისწინებს სოციალური უზრუნველყოფის იმ ზღვრის არსებობას, რომლის ქვემოთაც ნებისმიერი პირი შეიძლება აღმოჩნდეს, თუკი განაგრძობს „არასწორი“ გადაწყვეტილებების მიღებას ან ვერ დააკმაყოფილებს სოციალური პროგრამების ქცევის პირობებს. პარადიგმის ეს ნაკლოვანება ჩრდილავს განუყოფლობის პრინციპს,[50] რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ადამიანებმა თავიანთი სამოქალაქო უფლებები ანაცვალონ სოციალურ მხარდაჭერას. ან უარესი, ადამიანები, რომლებიც განმეორებით აკეთებენ „არასწორ“

[45] მაგალითად, სამუშაო პროგრამაში, რომელიც დიდ ბრიტანეთში 2011-2017 წლებში განხორციელდა, ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ფინანსური სანქციები მოქმედებდა, ‘House of Commons Work and Pensions Committee: Welfare-to-work: Second Report of Session 2015–16’ (House of Commons, 14 October 2015).
[46] იხ. Thaler and Sunstein (n 35).
[47] ასევე განხილულია - Paul Crawshaw, ‘Public Health Policy and the Behavioural Turn: The Case of Social Marketing’ (2013) 33 Critical Social Policy 616.
[48] ასევე განხილულია - Sarah Cook, ‘Rescuing Social Protection from the Poverty Trap: New Programmes and Historical Lessons’ in Katja Bender, Markus Kaltenborn and Christian Pfleiderer (eds), *Social Protection in Developing Countries: Reforming Systems* (Routledge 2013) 17–18.
[49] Paul Harvey and Sara Pavanello, ‘Multi-Purpose Cash and Sectoral Outcomes: A Review of Evidence and Learning’ (The UN Refugee Agency 2018).
[50] ასევე განხილულია - Guy Standing, ‘Conditionality and Human Rights’ (*UNRISD: News & Views*, 19 May 2014).

არჩევანს, შესაძლოა, დაექვემდებარონ დისკრიმინაციულ პრაქტიკას. ამრიგად, ეს პარადიგმა შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს, თუ იგი არ შეიმუშავებს შემოქმედებით გადაწყვეტილებებს ამ საკითხთან დაკავშირებით ან არ აღიარებს მინიმალური ზღვრის სოციალური უზრუნველყოფის მნიშვნელობას ყველასთვის.

IV. სოციალური ინვესტიცია

სოციალური ინვესტიციების პარადიგმა მოიაზრებს ახალ სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტში ტიტმუსის ინდუსტრიული მიღწევების მოდელის ხელახლა გაჩენას. ეს პარადიგმა ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით და, ამავე დროს, „ახალ სოციალურ რისკებზე" რეაგირებისთვის შემუშავდა.[51] ეს რისკები ეხება ბუნდოვნად განსაზღვრულ ახალ გამოწვევებს, როგორიცაა: დასაქმების ატიპიური ფორმების გავრცელება, გრძელვადიანი უმუშევრობა და დასაქმებულთა სიღარიბე; შრომის ბაზარზე გენდერული რევოლუციისა და შობადობის შემცირების შედეგად ოჯახის დინამიკის შეცვლა; და გაზრდილი ზეწოლა ჯანდაცვისა და საპენსიო ბიუჯეტებზე მოსახლეობაში ხანდაზმულთა წილის ზრდის გამო. 2000 წელს, ლისაბონის სტრატეგიის მიღების შემდეგ, სოციალური ინვესტიციების პარადიგმა ევროკავშირის ოფიციალური სოციალური პოლიტიკის ჩარჩო გახდა.[52] მიუხედავად იმისა, რომ პარადიგმამ მოიპოვა საერთაშორისო აქტუალობა, რომელიც სცილდება ევროკავშირის საზღვრებს,[53] მასზე ლიტერატურა კონცენტრირებულია ევროპულ გამოცდილებასა და დებატებზე. ზემოთ ჩამოთვლილი „ახალი სოციალური რისკების" გარდა, ევროკავშირი ასევე განიხილავს გაძლიერებულ საერთაშორისო კონკურენციას, როგორც მნიშვნელოვან რისკს მისი ეკონომიკური წარმატების მდგრადობისთვის და ცოდნის ეკონომიკის ზრდას, როგორც საშუალებას ხელსაყრელი საერთაშორისო პოზიციის აღსადგენად.[54]

ტიტმუსის მოდელის მსგავსად, სოციალური ინვესტიციის პარადიგმა პირდაპირ არ ეხება სიღარიბეს, როგორც სოციალურ პრობლემას. პარადიგმას საკმაოდ ჰოლისტური მიდგომა აქვს განვითარებასთან მიმართებით და საკვანძო მნიშვნელობას ანიჭებს განვითარების წარმატებას საზოგადოების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში. ტიტმუსის მოდელისგან განსხვავებით, ეს პარადიგმა უფრო მეტ ყურადღებას ანიჭებს ადამიანური კაპიტალის განვითარებას, როგორც მისი სტრატეგიის ძირითად კომპონენტს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მისაღწევად და შესანარჩუნებლად.[55] მაშასადამე, ამ პარადიგმაში სიღარიბე არ არის სოციალური მდგომარეობა,

---

[51] Gøsta Esping-Andersen, 'Towards the Good Society, Once Again?' in Gøsta Esping-Andersen (ed), *Why We Need A New Welfare State* (OUP 2002) 20; Anton Hemerijck, 'Social Investment and Its Critics' in Anton Hemerijck (ed), *The Uses of Social Investment* (OUP 2017) 8.

[52] European Parliament Directorate-General for Internal Policies, 'The Lisbon Strategy 2000–2010: An Analysis and Evaluation of the Methods Used and Results Achieved' (European Parliament 2010).

[53] მაგალითად, Johan Sandberg and Moira Nelson, 'Social Investment in Latin America' in Anton Hemerijck (ed), The Uses of Social Investment (OUP 2017) 278–86. ადრეული სასკოლო განათლებისა და ზრუნვის საერთაშორისო პერსპექტივებისათვის, იხ., ასევე, Hans-Peter Blossfeld and others (eds), Childcare, Early Education and Social Inequality: An International Perspective (Edward Elgar Publishing 2017). სამხრეთ კორეაში სოციალური ინვესტიციის გამოყენების ნაწილში, იხ., ასევე, Timo Fleckenstein and Soohyun Christine Lee, 'A Social Investment Turn in East Asia? South Korea in Comparative Perspective' in Anton Hemerijck (ed), The Uses of Social Investment (OUP 2017) 266–77.

[54] იხ., Treaty of Lisbon [2007] OJ C 306/1, მ. 2, პარ. 3

[55] Esping-Andersen (n 51) 3; Duncan Gallie, 'The Quality of Working Life in Welfare Strategy' in Gøsta Esping-Andersen (ed), *Why We Need A New Welfare State* (OUP 2002) 126; Anton Hemerijck, *Changing Welfare States* (OUP 2013) 36; Hemerijck, 'Social Investment and Its Critics' (n 51) 21; David Stoesz, *The Investment State: Charting the Future of Social Policy* (OUP 2018) 157.

რომლის წინაშეც დგას საზოგადოების ნაწილი; ეს არის სიმპტომი ეკონომიკური და ადამიანური კაპიტალის განვითარების სტრატეგიების წარუმატებლობისა.

„ახალი სოციალური რისკების“ დასაძლევად, სოციალური ინვესტიციების პარადიგმა, „პასიური“ სოციალური დაზღვევის პროგრამებისგან განსხვავებით,[56] გვთავაზობს სოციალური პოლიტიკის სტრატეგიას, რომელიც ეფუძნება პრევენციულ[57] და არა კომპენსატორულ სოციალურ პროგრამებს[58] და შესაძლებლობების გამაძლიერებელ[59] და აქტიურ სოციალურ სერვისებს.[60] ეს სტრატეგია შემუშავებულია „პასიური“ სოციალური დაზღვევის პროგრამების კრიტიკის კვალდაკვალ, რომლებიც, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპაში, კლასიკური კეთილდღეობის სახელმწიფოებში დომინირებდნენ.[61] ჰემერიკი შემდეგნაირად აღწერს პარადიგმის სიახლეს:

> *განსხვავებით ტრადიციული სოციალური უზრუნველყოფისგან, რომელიც მოიცავს კომპენსაციას და რისკების შემცირებას შემოსავლის მხარდაჭერით „აქ და ახლა“, სოციალური ჩავარდნის შემდეგ, სოციალური საინვესტიციო პოლიტიკა მიზნად ისახავს მომზადებას და არა სიტუაციის გამოსწორებას, ფოკუსირებას ახდენს სოციალური პრობლემების საწყისებზე და ყურადღებას ამახვილებს უფრო მეტად პრევენციაზე, ვიდრე მდგომარეობიდან გამოსვლაზე. აქედან გამომდინარეობს ძირითადი აქცენტი ბავშვებისა და ოჯახების წინასწარი მომსახურების მხარდაჭერაზე და ადამიანურ კაპიტალსა და შესაძლებლობებში ჩადებულ ინვესტიციებზე.*[62]

მოცემული პარადიგმა ამტკიცებს, რომ „პასიური“ სოციალური დაზღვევის პროგრამების ეფექტიანობა ეჭვქვეშ უნდა დადგეს, რადგან ისინი სოციალურ რისკებს უმკლავდებიან რეაქტიულად, და არა პროაქტიულად.[63] ამ პროგრამების მიმართ კრიტიკა იმას ეფუძნება, რომ ფულად კომპენსაციას ისინი სთავაზობენ თავიდან აცილებადი და არასასურველი შედეგების აღმოსაფხვრელად, ნაცვლად იმისა, რომ აძლიერებდნენ ინდივიდებს იმისათვის, რათა შეძლონ სიფრთხილის ზომების მიღება სოციალური რისკების წინააღმდეგ დასაზღვევად და, შესაბამისად, თავიდან იცილებდნენ ამ რისკებიდან მომდინარე სირთულეებს. მოცემული პარადიგმის მიხედვით, ამ პროგრამებმა შეზღუდა ადამიანის პოტენციალი, იმოქმედოს, როგორც სოციალური და ეკონომიკური განვითარების პარტნიორმა და შეძლოს თვითგანვითარება.[64] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს პარადიგმა მიანიშნებს, რომ „ტრადიციული“ სოციალური დაზღვევის პროგრამები წარმოშობენ მორალური საფრთხის პრობლემას. უფრო მეტიც, პარადიგმა გულისხმობს, რომ ამ პროგრამებზე დამოკიდებულებამ, ასევე გამოიწვია სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდა.[65]

---

[56] მაგალითად, Hemerijck, *Changing Welfare States* (n 55) 138, 180; Hemerijck, ‘Social Investment and Its Critics’ (n 51) 6, 8.
[57] Esping-Andersen (n 51) 5; Gallie (n 55) 119; Hemerijck, ‘Social Investment and Its Critics’ (n 51) 19.
[58] მაგალითად, Hemerijck, *Changing Welfare States* (n 55) 180.
[59] მაგალითად, იქვე, 222; Hemerijck, ‘Social Investment and Its Critics’ (n 51) 7.
[60] მაგალითად, Gallie (n 55) 119; Hemerijck, *Changing Welfare States* (n 55) 138; Hemerijck, ‘Social Investment and Its Critics’ (n 51) 21.
[61] Esping-Andersen (n 51) 20; Hemerijck, *Changing Welfare States* (n 55) 138.
[62] Anton Hemerijck, ‘Social Investment and Its Critics’ (n 51) 10.
[63] Anton Hemerijck, *Changing Welfare States* (n 55) 138.
[64] Hemerijck, ‘Social Investment and Its Critics’ (n 51) 10.
[65] Hemerijck, *Changing Welfare States* (n 55) 206.

სოციალურ პოლიტიკაში, სოციალური ინვესტიციების პარადიგმაში,[66] სახელმწიფოებს აქვთ ამბიციური - მომავლის შემქმნელის და განვითარების აგენტის - როლი. სახელმწიფოების ორი ძირითადი როლი ხელს უწყობს ადამიანური კაპიტალის ინვესტიციებს („საფონდო“ ფუნქცია[67]) და ხელს უწყობს, სწრაფად ცვალებად ეკონომიკურ გარემოსთან და ცხოვრების ნებისმიერ რისკთან, ინდივიდების ადაპტაციას („ნაკადის“ ფუნქცია).[68] როლი, რომელსაც ეს პარადიგმა ანიჭებს სახელმწიფოებს, ერთი მხრივ, ძალიან ჰგავს ახალ ბიჰევიორიზმს, რადგან სახელმწიფოები წარმოდგენილები არიან აგენტებად, რომლებიც მხარს უჭერენ ინდივიდებს თავიანთი თავის დახმარებაში. მეორე მხრივ, ამ პარადიგმაში სახელმწიფოებს აქვთ უფრო ფართო ხედვები, შესაბამისად, მათმა პოლიტიკამ შეიძლება შეცვალოს ფართო სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი. ახალ ბიჰევიორიზმში, სახელმწიფოები მხოლოდ ბაზრის კონტექსტში გვევლინებიან ინდივიდების არჩევნის არქიტექტორებად, ხოლო სოციალური ინვესტიციების პარადიგმაში, სახელმწიფოები მიისწრაფვიან, შეცვალონ სოციალურ-ეკონომიკური გარემო, რომელშიც ინდივიდები არსებობენ.

„საფონდო“ ფუნქციის შესასრულებლად, სახელმწიფოები ინვესტირებას ახორციელებენ ადრეული ასაკის ბავშვთა განათლებისა და ზრუნვის პროგრამებში (ECEC)[69] და შრომის ბაზრის გააქტიურების პროგრამებში (ALMPs).[70] ECEC პროგრამებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.[71] განვითარების ფსიქოლოგიის მიდგომებზე დაყრდნობით, სოციალური ინვესტიციების მკვლევრები ECEC პროგრამებს განიხილავენ „წინასწარ განაწილების“ ფორმად,[72] რომელიც ზრდასრულ ასაკში რედისტრიბუციის პროგრამების უკეთესი ალტერნატივაა. როდესაც პარადიგმა გამოიყენება გლობალურ სამხრეთში, ის ხშირად მცირდება პირობებზე დაფუძნებულ ფულად გადარიცხვებამდე.[73] ხედვის მსგავსი ნაკლებობა ამ პარადიგმისა და ახალი ბიჰევიორიზმის საერთო მახასიათებელია.

სოციალური ინვესტიციების პარადიგმამ, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომებით, შესაძლოა, ორი მიზეზის გამო ვერ გადაწყვიტოს სიღარიბის პრობლემა. პირველი, დასაქმებაზე ძლიერმა ფოკუსირებამ, როგორც ეკონომიკური და ადამიანური განვითარების საშუალებამ და როგორც ამგვარი განვითარების მტკიცებულებამ, შეიძლება ვერ უზრუნველყოს ყოვლისმომცველი დაცვა და კომპენსაცია სიღარიბისგან გლობალური დასაქმებისა და შრომის წილის შემცირების ეპოქაში. მიუხედავად იმისა, რომ გლობალურ ბაზარზე, სწრაფად ცვალებადი წარმოებისა და ძლიერი კონკურენციის კონტექსტში, პარადიგმა რეალურად არჩევანს აკეთებს სამუშაოსა და დასაქმების უსაფრთხოებას შორის, იგი დასაქმებაზე ორიენტირებულ სტრატეგიას ვერ უთავსებს აუცილებელ გარანტიებს, როგორიცაა ისეთ სამუშაო ადგილებზე დასაქმების უზრუნველყოფა,

---

[66] მაგალითად, Maurizio Ferrera, ‘From the Welfare State to the Social Investment State’ (2009) 117 Rivista Internazionale Di Scienze Sociali 513; Hemerijck, *Changing Welfare States* (n 55); Stoesz (n 55); Marius Busemeyer and others, ‘The Future of the Social Investment State: Politics, Policies, and Outcomes’ (2018) 25 J.E.P.P. 801.

[67] Anton Hemerijck, ‘Social Investment and Its Critics’ (n 51) 20.

[68] იქვე.

[69] მაგალითად, Gøsta Esping-Andersen, ‘A Child-Centred Social Investment Strategy’ in Gøsta Esping-Andersen (ed), *Why We Need A New Welfare State* (OUP 2002) 26–67; Hemerijck, ‘Social Investment and Its Critics’ (n 51) 3–41.

[70] მაგალითად, Anton Hemerijck, ‘The Uses of Affordable Social Investment’ in Anton Hemerijck (ed), *The Uses of Social Investment* (OUP 2017) 386.

[71] მაგალითად, Esping-Andersen, ‘A Child-Centred Social Investment Strategy’ (n 69) 26–67; Margarita León, ‘Social Investment and Childcare Expansion: A Perfect Match?’ in Anton Hemerijck (ed), *The Uses of Social Investment* (OUP 2017) 118–27; Susan Baines and others (eds), *Implementing Innovative Social Investment: Strategic Lessons from Europe* (Policy Press 2020).

[72] James J Heckman, *Giving Kids a Fair Chance (A Strategy that Works)* (MIT Press 2013).

[73] Jane Jenson, ‘Developing and Spreading a Social Investment Perspective: The World Bank and OECD Compared’ in Anton Hemerijck (ed), *The Uses of Social Investment* (OUP 2017) 207–16.

რომლებიც ითვალისწინებს საცხოვრებელ ხელფასს. პარადიგმის ეს ნაკლოვანება ძირს უთხრის მის დაპირებას ყველასთვის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ. გარდა ამისა, პარადიგმა არ იზიარებს აშკარა ვალდებულებას სრულფასოვანი დასაქმების კუთხით. ამასთანავე, გულდასმით არის შესასწავლი მისი გავლენა მათზე, ვისი დასაქმების დონეც დაბალია (ან გახდა ასეთი) ან ვისი პოზიციაც შრომის ბაზარზე დაუცველია, იმ მიზეზების გამო, რომელთა კონტროლიც არ შეუძლიათ. პასუხგაუცემლად რჩება ის, თუ როგორ შეძლებს სოციალური ინვესტიციების პარადიგმა, მოიცვას ეს ადამიანები თავის სოციალურ პოლიტიკაში.

მეორე მხრივ, სოციალური ინვესტიციების პარადიგმას შეიძლება გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდეს სახელმწიფოს შორსმჭვრეტელობის, ასევე, პრევენციული პოლიტიკის შესაძლებლობებზე, თავიდან აიცილოს ყველა არასასურველი შედეგი. პარადიგმას, ამჟამინდელი ვერსიით, აქვს უსაფუძვლო მოლოდინი, რომ პრევენციული და შესაძლებლობების გამაძლიერებელი პროგრამებით მხარდაჭერილი პირები სრულყოფილად აღასრულებენ მის ფართო ეკონომიკური და ადამიანური განვითარების მიზნებს და საბოლოოდ, ყველა წარმატებას მიაღწევს. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ინვესტიციების მკვლევრები მიუთითებენ სოციალური პროგრამების „ბუფერულ“[74] ფუნქციაზე, რაც გულისხმობს გარანტირებულ მინიმალურ ხელფასს, ისინი მაინც არ გვთავაზობენ რაიმე განმარტებას ამ ფუნქციის შინაარსისა და ფარგლების შესახებ. გარანტირებული მინიმალური რისკების განუსაზღვრელობა ძირს უთხრის უნივერსალურობის პრინციპს, რადგან, შესაძლოა, გრძელვადიანად უმუშევარი პირებისა და დასაქმების დაბალი დონის მქონე პირების პროგნოზირებული ეკონომიკური ზრდის სარგებლისგან გარიყვა გამოიწვიოს. გარდა ამისა, გაურკვეველია პოტენციური გავლენა არსებულ კეთილდღეობის სისტემებზე, რომელსაც მკვლევრები სოციალური ინვესტიციების პარადიგმისგან მოელიან. ეს განმარტება ღიად ტოვებს კითხვას, შეამცირებს თუ შეავსებს სოციალური ინვესტიციების პარადიგმა არსებულ სოციალური დაცვის პროგრამებს,[75] განსაკუთრებით კი - ხანდაზმულთა პენსიებს.

V. ახალი უნივერსალიზმი

უნივერსალიზმი - კიდევ ერთი კარგად დამკვიდრებული პარადიგმა სოციალურ პოლიტიკაში, ტიტმუსის ნაშრომებში ინსტიტუციური გადანაწილების მოდელის სახელით იყო განხილული. ამ პარადიგმამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სოციალური პოლიტიკის შემუშავებაში, ომისშემდგომი კლასიკური კეთილდღეობის სახელმწიფოების აყვავების პერიოდში,[76] და ასევე, 1980-იანი წლების ბოლოს, ვაშინგტონის კონსენსუსამდე.[77] თითქმის ორი ათწლეულის მანძილზე რელევანტურობის დაკარგვის მიუხედავად, უნივერსალიზმის ახალი ვერსია კვლავ გახდა სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი გავლენიანი პარადიგმა - განსაკუთრებით, 2000 წელს გაეროს ათასწლეულის დეკლარაციის მიღებით,[78] რომელმაც შემოიღო ათასწლეულის განვითარების

[74] Anton Hemerijck, ‘Social Investment and Its Critics’ (n 51) 21.
[75] ასევე განხილულია - Jean-Claude Barbier, ‘“Social Investment”: With or Against Social Protection?’ in Anton Hemerijck (ed), *The Uses of Social Investment* (OUP 2017) 51.
[76] The United Nations Children's Fund (UNICEF) and WHO, ‘Declaration of Alma-Ata: International Conference on Primary Health Care, Alma Ata, USSR’ (*WHO*, 6–12 September 1978).
[77] Bob Deacon, ‘From “Safety Nets” Back to “Universal Social Provision”: Is the Global Tide Turning?’ (2005) 5 Global Social Policy 19, 21.
[78] UNGA, ‘United Nations Millennium Declaration’ (18 September 2000) UN Doc A/Res/55/2.

მიზნები (MDGs).[79] პარადიგმა კიდევ უფრო რელევანტური გახდა 2015 წელს, მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიღების შემდგომ.[80]

მისი აღზევების შემდგომ, უნივერსალიზმის ლიტერატურაში პრობლემის ფორმულირება თითქოს ორად გაიყო: ერთი პრობლემის ფორმულირება - გლობალური ჩრდილოეთისთვის,[81] მეორისა კი - გლობალური სამხრეთისთვის.[82] მაშინ, როდესაც პირველი მრავალფეროვნებასა (განსაკუთრებით იმიგრაციას) და უნივერსალიზმს შორის დაპირისპირებას ეხება, მეორე ფოკუსირდება ძირითადი სოციალური დაცვის სისტემებში სოციალური სერვისების მიერ გაუთვალისწინებელ საჭიროებებსა და ლიმიტირებული დაფარვის საკითხებზე. ანტონენი და სიპილე ამგვარად აღწერენ უნივერსალიზმის მთავარ გამოწვევას დღეს გლობალურ ჩრდილოეთში: „იქ, სადაც არსებობს უნივერსალური მოთხოვნილებები, საყოველთაო ღონისძიებებისათვის გარკვეული ფარგლები იქნება. მაგრამ პროცედურული უნივერსალიზმის შენარჩუნება სერვისებში, რომლებიც ეხება კონტექსტიდან გამომდინარე სპეციფიკურ საჭიროებებს ან კულტურულ პრეფერენციებს, უფრო რთული ხდება.“[83] შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიხედვით, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა გლობალურ სამხრეთში არის „სოციალური დაცვის გაფართოება არაფორმალურ ეკონომიკაში მყოფთათვის და მათი ფორმალურ ეკონომიკაში ტრანზიციის ხელშეწყობა.“[84]

სოციალური პოლიტიკის პარადიგმებში მრავალფეროვნების საკითხის შემოტანამ და მოქალაქეობაზე დაფუძნებული უფლებების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებამ, უდავოდ გააფართოვა უნივერსალიზმის შესახებ დებატების საზღვრები. თუმცა უნივერსალიზმის შესახებ სამეცნიერო და პოლიტიკის დებატების ორად გაყოფა შეიცავს იმის რისკს, რომ ვერ შეფასდეს გლობალურ ჩრდილოეთში არსებული გაუთვალისწინებელი საჭიროებები და დაფარვის ლიმიტირებული ფარგლები,[85] ისევე, როგორც გლობალურ სამხრეთში მრავალფეროვნების, როგორც პროცედურული უნივერსალიზმის გამოყენების შემაფერხებელი ფაქტორები. სიღარიბის საკითხის სიღრმისეული ანალიზისთვის, ამ თავის დარჩენილი ნაწილი გლობალური სამხრეთის უნივერსალიზმის შესახებ ლიტერატურის განხილვას დაეთმობა.

უნივერსალური ძირითადი საჭიროებებისა და შესაძლებლობების თეორიაზე დაყრდნობით,[86] ეს პარადიგმა შორდება მკაფიო ნორმატიული ათვლის წერტილს - ადამიანის უფლებებს. ახალი უნივერსალისტური პარადიგმა, ზემოთ განხილული ორი პარადიგმისგან განსხვავებით, ეხმიანება განაწილების დინამიკასა და სიღარიბის გამომწვევ ფაქტორებს, რომლებიც ეგზოგენურია ინდივიდებისთვის. ამ პარადიგმის მიხედვით, სიღარიბეს ძირითადად წარმოშობს

---

[79] ‘Background’ (*United Nations: Millennium Development Goals and Beyond 2015*).

[80] ‘Sustainable Development Goals’ (*United Nations: Sustainable Development Goals*).

[81] მაგალითად, Simon Thompson and Paul Hoggett, ‘Universalism, Selectivism and Particularism: Towards a Postmodern Social Policy’ (1996) 16 Critical Social Policy 21; Anneli Anttonen and others, ‘Universalism and the Challenge of Diversity’ in Anneli Anttonen, Liisa Häikiö and Kolbeinn Stefánsson (eds), *Welfare State, Universalism and Diversity* (Edward Elgar 2012) 1–15.

[82] მაგალითად, Simone Cecchini (eds), *Towards Universal Social Protection: Latin American Pathways and Policy Tools* (United Nations 2015); Juliana Martínez Franzoni and Diego Sánchez-Ancochea, ‘Achieving Universalism in Developing Countries: 2016 UNDP Human Development Report Background Paper’ (*UNDP*, 2016).

[83] Anneli Anttonen, Liisa Häikiö and Kolbeinn Stefánsson, ‘The Future of Welfare State: Rethinking Universalism’ in Anneli Anttonen, Liisa Häikiö and Kolbeinn Stefánsson (eds), *Welfare State, Universalism and Diversity* (Edward Elgar 2012) 191.

[84] ILO, *World Social Protection Report 2017–19* (n 30) xxxiv.

[85] Peter Taylor-Gooby, ‘Ideology and Social Policy: New Developments in Theory and Practice’ (1994) 30 The Australian and New Zealand Journal of Sociology 71.

[86] Amartya Sen, *Development as Freedom* (Alfred A. Knopf 1999); Martha C Nussbaum, *Women and Human Development: The Capabilities Approach* (CUP 2000).

გაუმართლებელი ბარიერები, რომლებიც ზღუდავენ ძირითად საჭიროებებსა და სერვისებზე ინდივიდუალურ წვდომას, ან მატერიალური რესურსების უსამართლო განაწილება, როგორიცაა შემოსავლისა და რესურსების ნაკლებობა, ან ორივე ერთდროულად.[87] გარდა ამისა, ახალი უნივერსალიზმი სტატიაში განხილულთაგან ერთადერთი პარადიგმაა, რომელიც, პრობლემის ფორმულირებისას, ყურადღებას ამახვილებს სოციალურ უთანასწორობაზე. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური უთანასწორობის საკითხი წინ არ იყო წამოწეული MDG-ებში[88], ეს ნაწილობრივ კომპენსირდება SDG-ებში უნივერსალური მიზნების შემოღებით მრავალ სფეროში და უთანასწორობის შემცირების, როგორც ცალკე აღებული მიზნის, ფორმულირებით (მიზანი 10).[89] სოციალური უზრუნველყოფის ზღვრული დონე, რომლის ქვემოთ არცერთი ინდივიდი არ უნდა მოხვდეს, შედარებით ნათლად არის წარმოდგენილი SDG-ის მაჩვენებლებში, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ამ უკანასკნელს შევადარებთ წინა ორ პარადიგმას. პოლიტიკის ღონისძიებები, რომლებსაც ეს პარადიგმა წინ წამოწევს, ერთი მხრივ, მოიცავენ ჩავარდნების გამოსწორების მცდელობებს იმ ქვეყნებში, სადაც გარკვეული სოციალური პროგრამები (მაგ., ხანდაზმულთა პენსიები და სოციალური ჯანმრთელობის დაზღვევა) უკვე არსებობს და, მეორე მხრივ, ასეთი პროგრამების შექმნას იქ, სადაც ისინი არ არსებობს. ლიტერატურის მიხედვით, ამ პოლიტიკის პასუხები მოიცავს უნივერსალურ ბაზისურ შემოსავალს,[90] საყოველთაო ჯანდაცვის სერვისებს,[91] საყოველთაო ბაზისურ განათლებას,[92] სოციალური დაცვის მინიმალურ ზღვარსა[93] და უნივერსალურ ბაზისურ სერვისებს.[94]

მიუხედავად იმისა, რომ ახალ უნივერსალისტურ პარადიგმაში ადამიანის უფლებები ძირეული საკითხია, სიღარიბის წინააღმდეგ არსებულ, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ, გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, უნდა გამოიყოს სამი სახის კრიტიკა. პირველი, მიზნები და ინდიკატორები, რომლებიც ქვეყანაში არსებული მდგომარეობის მონიტორინგისთვის შეირჩა მე-10 მიზანთან მიმართებით, უგულებელყოფს SDG-ის თავდაპირველ მიზანს, უპასუხოს უკიდურეს სიმდიდრეს და შემოსავლის უთანასწორობას.[95] „ყველაზე ღარიბი 40 პროცენტის შემოსავლის ზრდა“, როგორც შემცირებული უთანასწორობის ინდიკატორი, შეცდომაში შემყვანია, რადგან ის ვერ ითვალისწინებს შემოსავლების განაწილების ურთიერთდამოკიდებულ დინამიკებს. ამ ხარვეზის

[87] მაგალითად, ILO Advisory Group, *Social Protection Floor for a Fair and Inclusive Globalization* (ILO Publications 2011).
[88] Naila Kabeer, *Can the MDGs Provide a Pathway to Social Justice? The Challenge of Intersecting Inequalities* (UNDP 2010) 6.
[89] Edward Anderson, 'Equality as a Global Goal' (2016) 30 Ethics & International Affairs 189; Gillian MacNaughton, 'Vertical Inequalities: Are the SDGs and Human Rights up to the Challenges?' (2017) 21 The International Journal of Human Rights 1050.
[90] მაგალითად, Guy Standing, *Basic Income: A Guide for the Open-Minded* (Yale University Press 2017); Philippe Van Parijs and Yannick Vanderborght, *Basic Income: A Radical Proposal for a Free Society and a Sane Economy* (Harvard University Press 2017).
[91] მაგალითად, Alan Derickson, *Health Security for All: Dreams of Universal Health Care in America* (Johns Hopkins University Press 2005); Daniel Cotlear and others, *Going Universal: How 24 Developing Countries are Implementing Universal Health Coverage Reforms from the Bottom up* (International Bank for Reconstruction and Development/The World Bank 2015).
[92] მაგალითად, Gene B Sperling, 'The Case for Universal Basic Education for the World's Poorest Boys and Girls' (2005) 87 Phi Delta Kappan Magazine 213; The United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO), Global Education Monitoring Report Team, *EFA Global Monitoring Report 2015: Education for All 2000–2015: Achievements and Challenges* (UNESCO Publishing 2015).
[93] მაგალითად, ILO Advisory Group (n 87); Markus Kaltenborn, 'Overcoming Extreme Poverty by Social Protection Floors – Approaches to Closing the Right to Social Security Gap' (2017) 10 Law and Development Review 237.
[94] მაგალითად, Social Prosperity Network at the IGP and others, 'Social Prosperity for the Future: A Proposal for Universal Basic Services' (*Institute for Global Prosperity (IGP)*, 2017); Ian Gough, 'Universal Basic Services: A Theoretical and Moral Framework' (2019) 90 The Political Quarterly 534.
[95] MacNaughton (n 89) 1050–72; Joel E Oestreich, 'SDG 10: Reduce Inequality in and Among Countries' (2018) 37 Social Alternatives 34; Sakiko Fukuda-Parr, 'Keeping Out Extreme Inequality from the SDG Agenda–The Politics of Indicators' (2019) 10 Global Policy 61.

ერთადერთი გამონაკლისია მე-10 მიზნის ინდიკატორებში შრომითი წილის ჩართვა - თუმცა დროის ლიმიტის გარეშე.

მეორე მხრივ, ახალი უნივერსალიზმი არ უწყობს ხელს სოციალური რისკებისგან ყოვლისმომცველ დაცვას, ხარისხიან სერვისებზე წვდომის თანასწორობასა და შედეგებში თანასწორობას.[96] ეს პარადიგმა მიესალმება „სისტემურ უნივერსალიზმს“,[97] რომელიც გულისხმობს სერვისების დაფარვასთან დაკავშირებული შეზღუდვების გადალახვას დამატებითი სოციალური პროგრამების დანერგვით, რომელთა სარგებელი და დაფარვის სფერო, სულაც არ არის აუცილებელი, იყოს ყოვლისმომცველი ან საწყისი პროგრამების ეკვივალენტური. მიუხედავად იმისა, რომ ასაკობრივი პენსიების შემთხვევაში, არათანაბარი შეღავათების მომწოდებელი ჩარჩო, შეიძლება ჩაითვალოს უნივერსალიზმთან თავსებადად,[98] იმ პირობით, რომ ყველაზე დაბალი სარგებელი ხელს უწყობს ცხოვრების ადეკვატურ დონეს, იგი არ გამოიყენება, მაგალითად, ჯანდაცვასთან დაკავშირებით. მაშასადამე, ახალი უნივერსალიზმის პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ის განურჩევლად მიესალმება მრავალსაფეხურიანი სარგებლის ან მომსახურების მიწოდების სტრუქტურებს, თუკი ისინი, ერთობლიობაში, მიაღწევენ უნივერსალურ დაფარვას. ამ კუთხით, ის ვერ პასუხობს შეკითხვას, რამდენად და რა ხარისხით იქნება მისაღები უთანასწორობა სერვისებზე წვდომისა და შეღავათების სტრუქტურებში. პარადიგმა მიზნად ისახავს ამ ნაკლოვანების კომპენსირებას მინიმალური ზღვრის სოციალური უზრუნველყოფის შემოღებით. თუმცა, ამ ზღვრული დონის ლიმიტირებული ხასიათი მნიშვნელოვნად ზღუდავს მის საყოველთაო მისაღებობასა და შესაბამისობას ყველა ქვეყნისთვის და საფრთხეს უქმნის მის ერთგულებას პროგრესული რეალიზაციის პრინციპისადმი.

ამასთან, ეს პარადიგმა იმგვარად აყალიბებს სახელმწიფოს როლს, რომ შეუძლია შეამციროს მისი პოზიტიური ვალდებულებები. სახელმწიფოს იგი წარმოადგენს ერთ-ერთ დაინტერესებულ მხარედ, რომელსაც შეუძლია, დაეხმაროს სხვა აქტორებს უნივერსალური დაფარვის მიღწევაში. უნივერსალური დაფარვის მისაღწევად, იგი პარტნიორად მოიაზრებს არა მხოლოდ კერძო სექტორს, არამედ საჯარო-კერძო პარტნიორობასაც სოციალურ სერვისებსა და საბაზრო საშუალებებში.[99] ასეთი ფორმულირება შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ადამიანის უფლებათა პერსპექტივას, იმ შემთხვევაში, თუ პარადიგმა არ ფოკუსირდება სახელმწიფოს უპირველეს ვალდებულებაზე - უზრუნველყოს კერძო სექტორის ფუნქციონირება საჯარო ინტერესების ფარგლებში - რაც ფართო მარეგულირებელ შესაძლებლობებს და ანგარიშვალდებულების ქმედით მექანიზმებს მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით, დონელის კრიტიკის შემდეგ,[100] კერძო სექტორის წარმოჩენა, როგორც ახალი უნივერსალისტური პროექტის კიდევ ერთი პარტნიორისა, შეიძლება ჩაითვალოს იმის მტკიცებულებად, კერძო სექტორის მოგების მიღებისა და საგადასახადო მოტივები სათანადოდ არ იყო გაკრიტიკებული; ეს ასევე ადასტურებს მის მიერ პოლიტიკის იმ მიზნის წარუმატებლობას, რომელიც ხშირად მოითხოვს ზემოხსენებული მისწრაფებების შეზღუდვას. საბოლოო ჯამში,

---

[96] მიზანი 4, „ყველა გოგონასა და ბიჭისთვის სრულად უფასო, თანასწორი და ხარისხიანი დაწყებითი და საშუალო განათლების მიღების უზრუნველყოფა, რაც მათ შესაბამის და ქმედით სასწავლო შედეგებს მოუტანს“, გამონაკლისია; UNGA, ‘Transforming our World: The 2030 Agenda for Sustainable Development’ (21 October 2015) UN Doc A/RES/70/1.

[97] Lutz Leisering, *The Global Rise of Social Cash Transfers: How States and International Organizations Constructed a New Instrument for Combating Poverty* (OUP 2018) 358.

[98] As discussed in Mikko Kautto, ‘The Pension Puzzle: Pension Security for All without Universal Schemes?’ in Anneli Anttonen, Liisa Häikiö and Kolbeinn Stefánsson (eds), *Welfare State, Universalism and Diversity* (Edward Elgar Publications 2012) 146–47.

[99] მაგალითად, Mahmoud Mohieldin, ‘SDGs and PPPs: What’s the Connection?’ (12 April 2018).

[100] Jack Donnelly, ‘Human Rights, Democracy and Development’ (1999) 21 Hum Rts Q 608, 625.

ზემოხსენებულმა სტრატეგიამ, რომელსაც ახალი უნივერსალიზმი ახორციელებს, შესაძლოა, უკან დახიოს ადამიანის უფლებების უნივერსალურობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპები. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში არ მოხდება, თუ პრობლემა მის პოტენციალთან დაკავშირებით, გააძლიეროს უთანასწორობა სერვისების მასშტაბსა და ხარისხში, რომლებზეც წვდომა აქვთ სხვადასხვა ინდივიდებსა და ჯგუფებს, გადაიჭრება. კითხვაზე, თუ რამდენადა შესაძლებელი და რამდენად იქნება მისაღები სოციალური დაცვასა და ძირითად სერვისებზე, როგორიცაა ჯანდაცვა და განათლება, წვდომის უთანასწორობა, პასუხგაუცემელი რჩება.

VI. დასკვნა

როგორაა შესაძლებელი, ადამიანის უფლებათა პერსპექტივამ უბიძგოს სოციალური პოლიტიკის იდეებისა და პარადიგმების შესწავლას ინდივიდებსა და საზოგადოებებზე ადამიანის უფლებების გავლენის უკეთ გააზრებისკენ? ადამიანის უფლებათა პერსპექტივა დღემდე გამოიყენება პროცედურებისა და შედეგების შესასწავლად. ამ სტატიის მიხედვით კი, ადამიანის უფლებების პერსპექტივა, ასევე გვთავაზობს ინტეგრირებულ, მასტიმულირებელ და სასარგებლო მითითებით ჩარჩოს მკვლევრებისთვის.

როგორ შეუძლია სოციალური პოლიტიკის დისციპლინას თავისი თეორიებით, კონცეპტუალური ინსტრუმენტებითა და მეთოდოლოგიებით ადამიანის უფლებათა მიდგომების ინფორმაციული უზრუნველყოფა? ერთ-ერთი მთავარი იდეა, რითაც სოციალურ პოლიტიკას შეუძლია, წვლილი შეიტანოს ადამიანის უფლებათა მიდგომებში, უკავშირდება იმას, რომ არასამართლებრივი სოციალური ინსტიტუტები აუცილებელია ადამიანის უფლებების რეალიზაციისთვის. სოციალური პოლიტიკის თვალთახედვით, ადამიანის უფლებათა მიდგომის ექსკლუზიური აქცენტი სამართლებრივ პროცედურებსა და შედეგებზე არასაკმარისია იმ პირობების გამოსავლენად და შესაცვლელად, რომელიც ხელს უწყობს ან აფერხებს ადამიანის უფლებების რეალიზებას. მიუხედავად იმისა, რომ პროცედურებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებების დაცვის ბაზისის ჩამოსაყალიბებლად, სასურველი შედეგების მისაღწევად, როგორიცაა, მაგალითად, სიღარიბის დაძლევა, დამატებით მნიშვნელოვანია არასამართლებრივი სოციალური ინსტიტუტების ფორმირებაც. ასეთი ანალიტიკური კავშირები შესაძლებელია მიღწეულ იქნას სოციალური პოლიტიკის გადაკვეთით უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომასთან და სოციალური უზრუნველყოფის ბმით ადამიანის უფლებებთან.

ადამიანის უფლებათა პერსპექტივიდან სოციალური პოლიტიკის სამი თანამედროვე პარადიგმის კრიტიკის წარმოდგენით, მოცემული სტატია აღწერს დღეს არსებულ მნიშვნელოვან შეუსაბამობას უთანასწორობისა და სიღარიბის მაღალ დონესა და შერჩეულ პარადიგმებში ამ პრობლემების ფართოდ გავრცელებულ უგულებელყოფას შორის. ახალი უნივერსალიზმი ამ მიმართულებით ნაწილობრივ გამონაკლისს წარმოადგენს. ანალოგიური ტენდენცია შეიმჩნევა სიღარიბეზე რეაგირების პოლიტიკის ფორმულირებაშიც. გასაოცარია, რომ ეს პოლიტიკის ჩარჩოები დიდწილად უგულებელყოფს საკვანძო საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქეების მიმართ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებთან; სოციალური შეღავათების, საზოგადოებრივი სერვისებისა და მომსახურებების უზრუნველყოფის დაფინანსების მექანიზმებს; ბენეფიტების დონის, პაკეტების და მათი ადეკვატურობის განსაზღვრას; და მკაფიო პოლიტიკის მიზნების დასახვას უთანასწორობისა და სიღარიბის დაძლევის მიზნით. ამ პარადიგმების თანამედროვე პოლიტიკური და სამეცნიერო გამორჩეულობა და მათი გამოთიშვა ადამიანის უფლებათა ჩარჩოდან

მოითხოვს, რომ ადამიანის უფლებათა მკვლევრები უფრო მეტად იყვნენ ჩართულნი მათ გამოკვლევასა და კრიტიკაში. ასეთი ინტელექტუალური სავარჯიშო წარმოშობს პროდუქტიულ დაპირისპირებას ადამიანის უფლებების პრინციპების მკვლევართა ინტერპრეტაციებსა და სოციალური პოლიტიკის პარადიგმებში არსებულ კომპრომისებს შორის. ეს არა მხოლოდ უბიძგებს მკვლევრებს შეიმუშაონ ადამიანის უფლებების პრინციპების უფრო დეტალური თეორიული ინტერპრეტაციები, არამედ ხელს შეუწყობს მათ შორის პროდუქტიულ დიალოგს ადამიანის უფლებათა პერსპექტივის პოლიტიკაზე ორიენტირებული ოპერაციონალიზაციის შესახებ.

სტატიის თარგმანი მოამზადა სოციალური სამართლიანობის ცენტრმა USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWMI-ს, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.